




პირველი არხი

1TV.GE

ანგარიში



**საზოგადოებრივი მაუწყებლის 2021 წლის
II კვარტლის ანგარიში**





2021 წლის მეორე კვარტლის ანგარიში

პირველი არხი - უყურე და უსმინე ქართულს



მნიშვნელოვანი სიახლეები/აქტივობები



➤ პირველი არხის ახალი სეზონი
პირველი არხის ახალი საეთერო სეზონის პრეზენტაცია.
🌐 <https://bit.ly/2UWBZQG>

➤ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეხვედრა
საქართველოს პირველი არხის მენეჯმენტსა და საქართველოში მოქმედ
არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის
შეხვედრა გაიმართა.
🌐 <https://bit.ly/3h7c1m8>

➤ ახალი პროექტი შშმ პირთა მხარდასაჭერად
საზოგადოებრივი მაუწყებელი შშმ პირთა მხარდასაჭერად ახალ პროექტს იწყებს.
🌐 <https://bit.ly/33dSdWx>

➤ EBU აკადემია
პირველი არხის ბაზაზე EBU აკადემიის სემინარები დაიწყო.
🌐 <https://bit.ly/33gdzm3>

➤ კონსტრუქციული ახალი ამბები
საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებმა კონსტრუქციული ახალი ამბების
საკითხზე ტრენინგი გაიარეს.
🌐 <https://bit.ly/3ht5lrS>

➤ პირველი არხის რეგულარული მაყურებელი 11.7%-ით გაიზარდა
მაყურებელთა რიცხვი, რომლებიც რეგულარულად უყურებენ საქართველოს
პირველ არხს, 11.7 პროცენტით არის გაზრდილი.
🌐 <https://bit.ly/3vLbE5F>

➤ 26 მაისი
საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 26 მაისს მაყურებელს 11-საათიანი უწყვეტი ეთერი
შესთავაზა.
🌐 <https://bit.ly/3poERkB>

➤ ევროპის 2020 წლის ჩემპიონატი - საქართველოს პირველი არხი, გახსნიდან ფინალამდე, ევროპის ჩემპიონატის ყველა, 51-ვე მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს შესთავაზებს მაყურებელს.

 <https://bit.ly/2SGNnPV>

➤ აუქციონი განახლებული ფასით

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება აუქციონზე განახლებული ფასით გამოიქცა. კოსტავას 68-ში მდებარე პირველის არხის შენობა, აუქციონის წესით, 24 059 832 დოლარად იყიდება.

 <https://bit.ly/3vN8k9W>

➤ ფილმი „მაოთხა ბრაიტონი“

საქართველოს პირველი არხის თანაპროდიუსერობით შექმნილმა, რეჟისორ ლევან კოლუაშვილის ფილმმა ნიუ იორკში, „ტრაიბეკას“ კინოფესტივალზე სამი ჯილდო მოიპოვა.

 <https://bit.ly/3AsboLJ>

➤ ევრო 2020 მობილურ ტელეფონში

პირველი არხი ევრო2020-ს აუდიტორიას მობილური აპლიკაციის საშუალებითაც სთავაზობს.

 <https://bit.ly/3dwlgdg>

➤ ახალი სტუდია

ადაცემები “ახალი დღე”, პირადი ექიმი”, “ტაიმაუტი”, “დღის კოდი” და “ბიზნესპარტნიორი” ახალი სტუდიიდან გავიდა ეთერში.

 <https://bit.ly/3ukTQNZ>

➤ მემორანდუმი თეატრალურ უნივერსიტეტთან

საქართველოს პირველ არხსა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

 <https://bit.ly/3b3nkrQ>

მედია - ტელე/რადიო/ონლაინ

ახალი და მიმდინარე ამბები

EBU-ს და პირველი არხის ტრენინგების სერია

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და EBU-ს რეგიონულმა აკადემიამ პირველი არხის ბაზაზე არსებულ რეგიონულ სასწავლო ცენტრში ტრენინგების სერია დაიწყო.

სესიებში მონაწილეობენ როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლები, ასევე ჟურნალისტები სომხეთიდან. წელს პირველად ტრენინგების სერიაში რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსის წევრი მაუწყებლებიც ჩაერთნენ.

პირველ ეტაპზე, სტუდენტები იმ სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებიდან შეირჩნენ, რომლებთანაც პირველ არხს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული, მათ შორის არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და გ.თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტი.

რეგიონული სასწავლო ცენტრი ევროპის მაუწყებელთა კავშირთან ერთად დაარსდა. სასწავლო კურსს მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებების პრაქტიკოსი მედიამენეჯერები მართავენ. ეს პროექტი უმნიშვნელოვანესია პირველი არხისთვის, რადგან მედიის ეკოსისტემაში საზოგადოებრივი მაუწყებელი მაღალი სტანდარტით გამოირჩევა.

ტრენინგები მაისიდან აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება და მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა:

- Tik Tok და IG REELS;
- ხელოვნური ინტელექტი და ყალბი ინფორმაცია;
- ხელოვნური ინტელექტი: შესაძლებლობების გამოყენება ახალი ამბების შექმნისას;
- Tik Tok და ახალი ამბები.

ტრენინგი „კონსტრუქციული ახალი ამბები“

საქართველოს პირველმა არხმა დაიწყო გრძელვადიანი პროექტი, რომელიც კონსტრუქციული ჟურნალისტიკის მიმართულებით ჟურნალისტების სწავლებას ითვალისწინებს. საანგარიშო პერიოდში ჟურნალისტებისა და მედია მენეჯერებისთვის გაიმართა ტრენინგი „კონსტრუქციული ახალი ამბები“.

სემინარის მთავარი თემა კონსტრუქციული ჟურნალისტიკაა. გადამზადების კურსს კონსტრუქციული ახალი ამბების ინსტიტუტის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ულრიკ ჰააგერუპი უძღვებოდა. ონლაინ-სემინარის შემდეგ, უკვე დეკემბერში,

საზოგადოებრივ მაუწყებელში ულრიკ ჰააგერუპი ორდლიან ვორქშოპსაც გამართავს. პროექტის ფარგლებში საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტები გადამზადების კურსს დანიამი ეტაპობრივად გაივლიან.

ორწლიანი პროექტი ევროპის მაუწყებელთა კავშირის დახმარებით ხორციელდება და მასში ჩართულია კონსტრუქციული ახალი ამბების ინსტიტუტი. ამ პროექტით ევროპელ მაუწყებელთა კავშირი კონტრიბუციას დებს ქართველ ჟურნალისტებში, რათა ეს ევროპული მოდელი დაინერგოს საქართველოში.

კონსტრუქციულ ჟურნალისტიკას ყალბი ამბების სამყაროში ალტერნატივა არ აქვს. ეს სრულიად ახალი მიდგომაა, რომელსაც საქართველოს პირველი არხი, სხვა ევროპული საზოგადოებრივი მაუწყებლების მსგავსად, პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილავს.


AVID-ის სისტემის ტრენინგი

საქართველოს პირველი არხი აგრძელებს მასშტაბურ ტექნიკურ გადაიარაღებას. იცვლება ტრადიციული სანარმოო ალჭურვილობა მაღალტექნოლოგიური სისტემებით.

მაუწყებლის ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღების პროექტი საქართველოს პირველ არხს რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ მედიასამუალებად აქცევს.



პროექტის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიოში აღიარებული ლიდერი ბრენდის AVID-ის ამავე სახელწოდების სისტემის დანერგვა. უკვე დაიწყო ახალი და მიმდინარე ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებისა და სპორტული ღონისძიებების გაშუქების მსოფლიოში აღიარებული, წამყვანი ბრენდის AVID სისტემის ტრენინგი. ამ ეტაპზე ჩატარდა გაცნობითი სესია, ხოლო ორი თვის განმავლობაში თითოეულ ჩართულ რგოლთან იგეგმება სიღრმისეული სასწავლო პროცესი.



თავდასხმა პირველი არხის გადამღებ ჯგუფზე დმანისში

7 მაისს, დმანისში, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ფიზიკურად გაუსწორდნენ საქართველოს პირველი არხის გადამღებ ჯგუფს - ჟურნალისტს, ოპერატორსა და ფოტორეპორტიორს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მიმართა ყველა შესაბამის უწყებას, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს. ასევე, მიმართა სახალხო დამცველს, ფაქტზე შესაბამისი რეაგირებისთვის.



ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მაუწყებლის თანამშრომლები პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს დაშავდნენ. 2020 წელს მარნეულში, „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს შორის დაპირისპირების დროს, ინციდენტის მონაწილე ერთ-ერთი პირი საქართველოს პირველი არხის ოპერატორს თავს დაესხა, ფიზიკურად გაუსწორდა და კამერა დაუმტვრია, თუმცა შემთხვევა დღემდე არ არის გამოძიებული.

საზოგადოებრივი მაუწყებელი იმედს იტოვებს, რომ მსგავსი შემთხვევები არ დარჩება შესაბამისი რეაგირების გარეშე.

დმანისში მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც საქართველოს პირველი არხის გადამღები ჯგუფის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდნენ, გამოეხმაურა საერთაშორისო ორგანიზაცია „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი“. ასევე ევროპის მაუწყებელთა კავშირი, რომელმაც საზოგადოებრივი მაუწყებლის გადამღებ ჯგუფებზე თავდასხმების გამო შეშფოთება გამოთქვა.

ამ ფაქტს, ასევე, გამოეხმაურა ევროპის საბჭოს ჟურნალისტიკის დაცვისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების პლატფორმა.

პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ამზადებს ყოველდღიურად 4 საინფორმაციო გამოშვებას როგორც აზერბაიჯანულ, ისე სომხურ ენაზე. აღნიშნული საინფორმაციო გამოშვებების ტრანსლაცია ხდება შესაბამისი ონლაინ პლატფორმებით, ასევე, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ტელევიზიების საშუალებით.

„მოამბის“ სინქრონული თარგმანი

საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ სინქრონული თარგმნა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

პროექტი „ჩვენი ქართული ენა“



კვლავ გრძელდებოდა საქართველოს პირველი არხის პროექტი „ჩვენი ქართული ენა“. შეხვედრები ჩატარდა ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. შეხვედრები შედგა ოლიმპიადის მე-7 და მე-8 კლასელებს შორის ჩატარებულ კონკურსში მონაწილეებთან, რომლებმაც მიიღეს სერტიფიკატი და სიმბოლური საჩუქრები საქართველოს პირველი არხისგან.

ამ ეტაპზე პროექტის ოლიმპიადის ნაწილი გრძელდება. მალე ჩატარდება ქართული ენის ოლიმპიადა აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლების მე-9 და მე-10 კლასელებს შორის. ასევე, გამოცხადდება რეგისტრაცია მე-11 და მე-12 კლასელებისთვის. უკვე ჩატარდა ესეების კონკურსი სახელწოდებით „ჩვენი ქართული ენა“. გვაქვს შერჩეული საუკეთესო ნაშრომები და უახლოეს მომავალში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან.

ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის კუთხით. ასევე, „ტელესკოლის“ ფარგლებშიც გრძელდება არაქართულენოვანი სკოლებისთვის ქართული ენის გაკვეთილები.



2021 წლის აპრილიდან 12 ივნისის ჩათვლით, პირველი არხი - ტელესკოლის ეთერში გაგრძელდა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მომზადებული ტელეგაკვეთილები, რადგან სწავლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კვლავ დისტანციურად ან ნახევრად დისტანციურად მიმდინარეობდა. პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ყველა საგანი ტელეეთერში 6-საათიან საეთერო ზოლად იყო განერჩილი. მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილები გათვალისწინებული იყო ეროვნული უმცირესობისთვის, როგორც აზერბაიჯანულ, ასევე სომხურ ენებზე.

2021 წლის მეორე კვარტალში, ტელესკოლის ეთერში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მომზადებული ტელეგაკვეთილების პარალელურად, გაგრძელდა პროექტები:

„ინგლისური ყველასთვის“, რომელიც მომზადდა საქართველოს განათლების სამინისტროსა და English book education-თან პარტნიორობით და რომლის მიზანია, ინგლისურის სწავლა ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის. გაგრძელდა პროექტები:



„ქართული ჟესტური ენის გაკვეთილები“ - რომლის მიზანია, მარტივად და სახალისოდ ასწავლოს მაყურებელს ჟესტური ენა, რათა სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებმა თავის საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ.

„როგორ გავაკეთოთ“ - რომლის მიზანია, ბავშვებში კრეატიული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას ხელშეწყობა და რომელიც სახლის პირობებში ბავშვებს სხვადასხვა საჭირო თუ დეკორატიული ნივთის შექმნას ასწავლის.

სასწავლო რესურსებს დაემატა პროექტი „აბიტურიენტის დრო“, რომელიც საქართველოს ეროვნულ საგამოცდო ცენტრთან ერთად მომზადდა. აღნიშნული ლექციების ციკლს უძღვებოდნენ თავად საგამოცდო ცენტრის პროფესორები და პრაქტიკულ, მნიშვნელოვან რჩევებს აძლევდნენ აბიტურიენტებს, რაც წინასაგამოცდო პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების პროცესში.

ასევე, 2021 წლის მეორე კვარტალში, პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით, მომზადდა სხვადასხვა პროექტის საპილოტე ვერსიები და გაგრძელდა 2021 წლის შემოდგომის სეზონისათვის მზადება, რათა ტელეეკოლაჟი შეძლოს მაყურებლისთვის მრავალფეროვანი, ახალი, საინტერესო და შემეცნებითი პროგრამების შეთავაზება.

პირველი არხი - სიახლეები საეთერო ბაზაში



„ვოისი“

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე დაიწყო საერთაშორისო მუსიკალური მეგაშოუ „ვოისი“ - მსოფლიოში ყველაზე რეიტინგული მუსიკალური შოუ. პროექტი შედგება რამდენიმე ძალიან საინტერესო და აზარტის შემცველი ეტაპისგან. კონკურსის ფარგლებში თავი მოიყარა ბევრმა საინტერესო მონაწილემ, რომლებიც ყოველკვირეულად გვთავაზობდნენ ძალიან ხარისხიან მუსიკალურ კონტენტს. ასევე, უნდა აღინიშნოს პროექტში მონაწილე მენტორების შესახებ, რომელთა გადამწყვეტილებები და სამუშაო პროცესი დიდ ინტერესს იწვევდა მაყურებელში.

პროექტი [დასრულდა გრანდიოზული გალა კონცერტით](#) და სტეფანეს გუნდის წევრის, მაგდა ივანიშვილის გამარჯვებით.



საბავშვო მუსიკალური შოუ „რანიანას“ მეოთხე სეზონის ჩაწერები დაიწყო. სამი საკონკურსო ტური უკვე გადაღებულია. წინ არის მეოთხე ტური, ხუთი კონკურსანტისთვის გადამწყვეტი ტური, ნახევარფინალი და ფინალი. პროექტის ჩაწერები 2021 წლის აგვისტოში დასრულდება და მაყურებლის წინაშე წარდგება 2021 წლის შემოდგომაზე.



2021 წლის მარტში, პირველი არხის ეთერში სტარტი აიღო კულინარიული მეგამოუს მეხუთე სეზონმა. შოუ [გრანდიოზული ფინალით](#) დასრულდა, გამარჯვებული გახდა დიმიტრი მარაშიძე. მიმდინარეობს კასტინგი ახალი სეზონისთვის.



2020 წლის სექტემბერში, პირველმა არხმა მაყურებელს წარუდგინა ტექნოლოგიურად ძალიან მაღალი ხარისხის საბავშვო ანიმაციური სერიალი, რომელიც შემეცნების თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანი პროდუქტია და ანალოგი არ აქვს საქართველოს ტელევიზორებში. 2021 წლის აპრილში ეთერში გავიდა სერიალის მეორე სეზონი.

„მაშველები“ ბუჯდურ მედიაში - [გამოვიდა საბავშვო გასაფრადებლები.](#)



[„დავით გორგილაძის აუთენტული სიმსუბუქე“](#)



2021 წლის მაისიდან, პირველ არხზე დაიწყო ახალი ყოველკვირეულ პროექტი. გადაცემა „ახალი დღის“ წამყვანი და მწერალი დავით გორგილაძე გვთავაზობს ორიგინალური ფორმისა და შინაარსის ინტერვიუებს საინტერესო და ცნობილ ადამიანებთან. ინტერვიუ ოთხ რესპონდენტთან უკვე გასულია ეთერში.



„ამ შაბათ-კვირას“

2021 წლის მაისში ეთერში გავიდა ახალი ყოველკვირეული გადაცემა „ამ შაბათ-კვირას“. პროექტი ბადეში განთავსდება ყოველ შაბათს და კვირას, 12:20-14:00-მდე. გადაცემაში საუბარია შემეცნებით, სახელოვნებო და გასართობ თემებზე. გადაცემის წამყვანები არიან: ლიზა ბაგრატიონი, გიორგი შერვაშიძე და ლიკა ევგენიძე.



„იდეალური დედა“

2021 წლის გაზაფხულზე, პირველის არხის ეთერში გავიდა მაყურებლისთვის კარგად ცნობილი და საყვარელი სერიალის „იდეალური დედა“ კიდევ ერთი სეზონი, ძველი და ახალი გმირებითა და მათი საინტერესო ისტორიებით.



„მარკ თენე საქართველო“

2021 წლის გაზაფხულზე, ტელევიზიის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო პროექტის, „მარკ თენეს“ ლიცენზიის შეძენისა და წარმოების შესახებ. პროექტი მონაწილეთა შერჩევის ეტაპზეა. მაყურებელი პროექტს ეთერში იხილავს 2021 წლის შემოდგომაზე. „მარკ თენე საქართველო“

საქართველოში პირველად ოთხი Emmy-ისა და სხვა მრავალი სატელევიზიო ჯილდოს მფლობელი SONY Pictures-ის პოპულარულ მეგამოუ პროექტი „მარკ თენე საქართველო“ იწყება, ეს არის პირველი არხის მიერ შექმნილი პლატფორმა, რომელიც დამწყებ ბიზნესს საშუალებას აძლევს ინვესტიცია მოიპოვოს, პროცესს კი მაყურებელს საინტერესო



ფორმით სთავაზობს. პროექტი მიზნად ისახავს ქართულ ბიზნესში ქართული ინვესტიციის განხორციელების ხელშეწყობას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის პოსტპანდემიურ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მონაწილეთა რეგისტრაციის პარალელურად პირველი არხის მენეჯმენტი სტენლი მოუსთან და „ბიზნესპარტნიორთან“ ერთად რეგიონებში დაინტერესებულ კანდიდატებთან შეხვედრებს ინტენსიურად მართავდა.



1TVSPORT.GE

მთავარი სპორტული მოვლენები

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

2021 წლის 11 ივნისიდან 2021 წლის 11 ივლისამდე, საქართველოს პირველი არხი ახორციელებდა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ყველა თამაშის პირდაპირ ტრანსლაციას და ერთი თვის განმავლობაში, ეთერში სპეციალური გამოშვებების ფორმატში გადიოდა გადაცემა „ტაიმაუტი“. ასევე, ყოველ დღე, საღამოს ეთერში, პირველი არხის მაყურებელს საშუალება მიეცა, მონაწილეობა მიეღო სპორტულ ვიქტორინაში, სადაც საინტერესო პრიზები გათამაშდა.

გარდა ამისა, მაყურებელმა ეთერში იხილა: ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატი; ფეხბურთში ევროტურნირებზე ქართული გუნდების გამოსვლა; წყალბურთში მსოფლიო ლიგის სუპერფინალი; წყალბურთში ჩემპიონთა ლიგის მატჩები; პარანოლტიმში მსოფლიოს თასის გათამაშება; ფუტსალში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი - საქართველო-საფრანგეთი.

ტელეფილმები

მნიშვნელოვანი მოვლენები

2021 წლის 29 აპრილიდან 5 ივნისამდე, ეთერში გავიდა რეჟისორ ანდრო ჭიაურელისა და სცენარის ავტორის, თამაზ ჭოლოგუას მიერ შექმნილი, 10 ფილმისგან შემდგარი დოკუმენტური სერიალი „ერი და პრესა“: „ბეჭდურის სიტყვა და პრესამდელი საქართველო“, „პირველი ქართული ჟურნალ-გაზეთები“, „ვორონცოვის ხანა“, „ცისკარი“ და კულტურის ახალი ჰორიზონტი“, „რეტროგრაფები და პროგრესისტები“, „რევოლუციონერები და პატრიოტები“, „პრესა და ომი“, „ერთი გაზეთის ტვირთი“, „პრესა და ბანკი“, „პარტიული პრესა და ეპოქის დასასრული“.

მიმდინარე სამუშაოები/სიახლეები

- დასრულდა 5-სერიანი მხატვრული ფილმის „იუნკრები“ წინამოსამზადებელი სამუშაოები. რეჟისორი - გიორგი ბარაბაძე, სცენარის ავტორები: გიორგი ბარაბაძე, კოტე ჯანდიერი, მაღიმან შამანაძის მონაწილეობით.
- პროექტისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, რამდენიმე კომპანიას დაეგზავნა ტექნიკური დავალების შაბლონი, რომელიც ორმა კომპანიამ შეავსო. მიმდინარეობს მუშაობა შემდგომში პროექტის განვითარებისა და განხორციელებისთვის.

- დასრულდა დოკუმენტური ფილმის „ენგურჰესი“ გადაღება. რეჟისორი - ბესიკ გაფრინდაშვილი. ფილმი მოგვითხრობს ენგურჰესის რეაბილიტაციის შესახებ, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს ორ რეგიონში - სამეგრელოში და აფხაზეთში.
- საეთეროდ მზადდება დოკუმენტური ფილმი „ანწუხელიძის გმირობა“. რეჟისორი - შალვა შენგელი, სცენარის ავტორი - ნინო ჩუტკერაშვილი.
- მიმდინარეობს გადაღებები დოკუმენტური ფილმის „ანდრია რაზმაძე“ - ციკლიდან უნივერსიტეტის დამფუძნებლები. რეჟისორი - ბესიკ გაფრინდაშვილი, სცენარის ავტორი - არჩილ შუბაშვილი, წამყვანი - მერაბ კოკორიაშვილი.

ახალი პროექტები:

- დოკუმენტური ფილმი „ქართველი მოდერნისტები“, რეჟისორი - ანდროჭიაურელი, სცენარის ავტორი - ნანა ყიფიანი;
- დოკუმენტური ფილმი „დრო აღარ ითმენს (აჭარის დაბრუნება)“ - იდეის ავტორი - მამუკა არეშიძე, სცენარის ავტორი - ნინო ნატროშვილი.

გაგრძელდა პროექტი:

- „ტრადიცია და ინოვაცია - სუბიშვილები“ - რეჟისორი ლევან კიტია, სცენარის ავტორი - ბიძინა მაცაშვილი.

საქართველოს რადიო

რადიოს დაბადების დღე

1925 წლის 23 მაისს საქართველოში პირველმა, ხოლო ევროპაში ერთ-ერთმა პირველმა რადიომ დაიწყო მაუწყებლობა. <https://bit.ly/3fECjLM>



რადიო


გენდერული ბალანსის დასაცავად საქართველოს პირველი არხი [„ბიბისი“-სთან თანამშრომლობას იწყებს.](#)

„ბიბისისთან“ ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში, აღნიშნული პროექტი საქართველოს პირველ არხზე რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდება. პროექტი „50:50“ მონაცემთა შეგროვების, გაზომვის, დამუშავების და შემდგომ დაგეგმვის საშუალებით უზრუნველყოფს მაუწყებლის კონტენტში ქალების და კაცების სამართლიან რეპრეზენტაციას და გენდერული ბალანსის საუკეთესო შესაძლო მაჩვენებლის მიღწევას.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პროექტის განხორციელება პირველ ეტაპზე საქართველოს რადიოში დაიწყო, იგივე მეთოდოლოგიით, რომელსაც თავად პროექტი „50:50“ იყენებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, გაზომვის ინდიკატორები არის აბსოლუტურად ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკა, რომლის ანალიზიც ხორციელდება პერიოდულად და საშუალებას იძლევა სარედაქციო დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს გენდერული თვალსაზრისით სტუმრების გადანაწილება.

ამ დროისთვის მონაცემები ასე გამოიყურება:

გენდერული ბალანსი რადიოეთარში



როგორც დიაგრამაში ჩანს, აღნიშნული მონაცემების დათვლა და ანალიზი პერმანენტული მონიტორინგის საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს გადაცემებში სტუმრების გენდერულად თანაბარ წარმოდგენას, ხელს უწყობს ქალების ან კაცების წარმომადგენელთა ისეთი თემების გაშუქებისას, რომლებიც საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების საფუძველზე არის მიკუთვნებული რომელიმე სქესისთვის დამახასიათებელ კომპეტენციად.

„ჰოდკასტი - შენი აუდიოსივრცე“

EBU-ს მხარდაჭერით მომზადდა ჰოდკასტების სერია და ის უკვე ხელმისაწვდომია პლატფორმაზე

www.ltvpodcast.ge



ონლაინ ბეჭი

- მიმდინარეობს Itv.ge-ის ტექნიკური განახლება და დაემატა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქციონალი.
- აპლიკაცია Mobile TV-ის დაემატა LIVE ფუნქცია.
- მიმდინარეობს მუშაობა არჩევნები 2021-ის ვებგვერდზე.

ონლაინმომხმარებელთა რაოდენობა დინამიკურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:



საიტის Itv.ge სტატისტიკა



II კვარტალი 2021	I კვარტალი 2021
ვიზიტი საიტზე - 8,887,635	ვიზიტი საიტზე - 9,715,000
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 77,000	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 88,000
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 98,000	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 109,000
მაქსიმალური მაჩვენებელი - 180,300 (04/09/2021)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 191,000 (02/25/2021)



Youtube-არხების სტატისტიკა

II კვარტალი 2021	I კვარტალი 2021
ნახვა - 48,900,000	ნახვა - 32,000,000
საშუალოდ დღეში ნახვა - 537,000	საშუალოდ დღეში ნახვა - 356,000
მაქსიმალური მაჩვენებელი - 723,000 (11 აპრილი 2021)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 530,000 (12 მარტი 2021)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთერთი ლიდერია ქართულ მედიაში.

ფეისბუქ-გვერდი - პირველი არხი



ვიდეოების საერთო ნახვა - 26,3 მლნ. წინა 3 თვესთან შედარებით ნახვები მომატებულია 47.3%-ით.



ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 1,2 მლნ. წინა სამ თვესთან შედარებით მომატებულია 98.9%-ით.



1 აპრ., 2021 - 30 ივნ., 2021 Posted

22,7 მლნ.

Minutes Viewed

▲ 8.1% from previous 91 days

4,8 მლნ.

1-Minute Video Views

▲ 28.2% from previous 91 days

26,3 მლნ.

3-Second Video Views

▲ 47.3% from previous 91 days

1,2 მლნ.

Video Engagement

▲ 98.9% from previous 91 days

16,8 ათ.


Net Followers

▲ 13.6% from previous 91 days

3-Second Video Views

1 აპრ., 2021 - 30 ივნ., 2021

26 276 044 3-Second Video Views 17 838 418 Previous Period




Show by:

See how your different types of posts are performing

- ორგანული 97.4%
- დახაზი 2.57%
- Posted 83.3%
- Crossposted 6.03%
- Shared 10.7%
- Followers 44.1%
- Non Followers 55.9%
- პირდაპირი 6.39%
- ვიდეო 93.6%

გვერდის საერთო ლაიკების რაოდენობა 378,825. გაზრდილია 2.55%-ით.



ჩატარებული კვლევები

2021 წლის დეკემბრის ჩათვლით, დაგეგმილია შემდეგი კვლევების ჩატარება:

- სატელევიზიო ბაზრის კვლევა;
- ტელეაუდიტორიის კვლევა;
- ინტერნეტაუდიტორიის კვლევა;
- რადიოაუდიტორიის კვლევა;
- აუდიტორიის სეგმენტაცია;
- საიმიჯო კვლევა.

მეორე კვარტალში ჩატარებული კვლევები:

- ჩატარდა გადაცემების „ტაიმაუტი“ და „ბიზნესპარტნიორი“ თვისებრივი კვლევა ფოკუს ჯგუფების მეთოდით. კვლევის მიზანი იყო პროდუქტის ხარვეზების აღმოჩენა და გამოაშკარავება, მისი შესაბამისობა სამიზნე სეგმენტთან, არსებული პოტენციალის და სამომავლო განვითარების მიმართულებების ძიება, სეგმენტთან საკომუნიკაციო ენის შემუშავება.
- ჩატარდა ტელეაუდიტორიის კვლევის მესამე ტალღა. კვლევის მიზანი:
 1. ტელევიზიების საინფორმაციო კონტენტის მიმართ ნდობა;
 2. რეგულარული ტელევიზია;
 3. პირველი არხის გადაცემების ცნობადობა და ყურების გამოცდილება. კვლევის მეთოდი - სატელეფონო კვლევა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პლატფორმებზე გაშუქებული ინფორმაციის პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გაზომვის მიზნით, მეორე კვარტალში გრძელდებოდა გაშუქებული თემების მონიტორინგის უწყვეტი პროცესი. სამუშაო მოიცავდა მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე გაშუქებული თემების მონიტორინგს რაოდენობრივი კომპონენტებისა და მონვეული/ გაშუქებული სუბიექტების აღრიცხვით.





Ժամկետային և ժամանակագրորեն սահմանափակ



ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები

2021 წლის მეორე კვარტალში გაგრძელდა 2018-2021 წლების ტექნიკური გადაიარაღების გეგმის მიხედვით ჩასატარებელი სამუშაოები. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- მაუწყებლობის ავტომატიზაციის ახალი სისტემების და ტექნიკის კონფიგურაციების დაზუსტება მიმდინარე სამაუწყებლო ამოცანების საპასუხოდ;
- მაუწყებლობის და წარმოების ინჟესტის აპარატურის და სისტემების ტექნიკური საშუალებების სამუშაო პროცესების ოპტიმიზაცია და კონფიგურაცია;
- მაუწყებლობის და მედიის ხარისხის კონტროლის ჯგუფის ტექნიკური საშუალებების და სისტემების სამუშაო პროცესების დახვეწა-ოპტიმიზაცია;
- მაუწყებლობის ბადის დაგეგმარების/პროგრამირების დეპარტამენტის ტექნიკური საშუალებების და ტრაფიკის სისტემის კონფიგურაცია და სამუშაო პროცესების ოპტიმიზაცია;
- ჩამოთვლილი სისტემების ეფექტური ინტეგრაციის დანერგვა და პროცესების საბოლოო კონფიგურაცია და ოპტიმიზაცია;
- ჩამოთვლილი დეპარტამენტების, განყოფილებების, ჯგუფების ყველა თანამშრომლის სამუშაოს ეფექტურობის კონტროლი და ოპტიმიზაცია;
- ჩამოთვლილი სააპარატოების, საეთეროების და სხვა სისტემების ცალ-ცალკე და ერთიანობაში მუშაობის კონტროლი და ოპტიმიზაცია;
- განხორციელდა მთლიანი სამაუწყებლო კომპლექსის ექსპლუატაციაში ჩაშვება და უწყვეტი მაუწყებლობის გადაყვანა ახალ სისტემებზე. ახალი სისტემით მაუწყებლობა ეტაპობრივად დაიწყო ორივე არხით (პირველი არხი და პირველი არხი ტელესკოლა);
- კორპორატიული IT ქსელის მოდერნიზაციისა და უსაფრთხოების პროექტის ფარგლებში, დამონტაჟდა ქსელური კომუტატორების (Core, Datacenter, Access), როუტერების, ფაერვოლების და შესაბამისი მარშრუტიზატორების, უსადენო წვდომის წერტილების სისტემა;
- გაგრძელდა ახალი ამბებისა და პოლიტიკური გადაცემების ბლოკის ტექნიკური გადაიარაღების გეგმიური სამუშაოები. კერძოდ, გაგრძელდა ახალი სააპარატო-სტუდიური ბლოკის ტექნიკის მონტაჟი და დამონტაჟებული სისტემების ტესტირება;
- ჩატარდა ცენტრალური საკომუტაციო სააპარატოს კომუტატორის აფგრეიდის, ცენტრალური ინტერკომის სისტემების აფგრეიდის, სტუდიური სიგნალების ოპტიკური ტრანსპორტის სისტემების და სხვა შესყიდვის ტენდერები;
- ჩატარდა ახალი ამბებისა, პირველი, მესამე და C სტუდიების საწარმოო მიქშირების სისტემების აფგრეიდი შესაბამისი ტენდერის ფარგლებში;
- 2021 წლის 2 კვარტალში ჩატარდა მინი მს-თვის (მოდრავი სატელევიზიო სადგურის) საჭირო ტექნიკური აპარატურის სახელმწიფო ელექტრონული ტენდერი;
- ჩატარდა ტენდერი განათების აპარატურის და აუდიო ტექნიკის შესაძენად;
- ჩატარდა სხვადასხვა სამუშაოები რადიოს, ფილმების გახმოვანების, ციფრული სატელევიზიო და სატელევიზიო გავრცელების პლატფორმების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიმართულებით:
- რადიომაუწყებლობის საეთერო და ჩამწერი სტუდიების აპარატურის განსაახლებლად მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და განხორციელდა რადიოს ავტომატიზაციის და ტექნიკური აღჭურვის პროდუქტების შესყიდვა. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს პროგრამული უზრუნველყოფის განახლების ტესტირება და რადიოს ხმის ჩამწერი სტუდიების ტექნიკის ჩანაცვლება;
- ფილმების გახმოვანების სტუდიის ჩამწერი და მონიტორინგის ტექნიკის განსაახლებლად მომზადდა საჭირო აპარატურის შეძენისათვის სატენდერო დოკუმენტაცია. აპარატურა ჩანაცვლდება ეტაპობრივად;
- ტელემაუწყებლობის ავტომატიზაციის ახალი სისტემის გაშვებამ მოითხოვა სამაუწყებლოსიგნალის თანმხლები ხმის ბილიკების აუდიო დამუშავების სქემის რეკონფიგურაცია და ხმის დამუშავების ახალი აპარატურის შეძენა. მიმდინარეობს ხმის პროცესირების აპარატურის წინასაინსტალაციო ტესტირება.



იურიდიული სამსახურის ანგარიში

იურიდიული სამსახურის ანგარიში



იურიდიული სამსახურის ანგარიში

1. ხელშეკრულებების შესახებ

2021 წლის მე-2 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 286 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2021 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	ფ/პ ვკატერინე მაჭავარიანი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.</p> <p>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და</p> <p>ბ) საზოგადოებრივი მაუწყებელს ე. მაჭავარიანის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ორივე მხარის მიერ სააპელაციო წესით.</p> <p>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.</p> <p>- საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს მხარეთა საკასაციო საჩივრების დასაშვებობას</p>
2.	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	საჯარო ინფორმაციის გაცემა	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>_ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში</p> <p>- სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.</p>
3.	ფ/პ ავთანდილ ძიძიგური	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
4.	ფ/პ ნუგზარ რუხაძე	საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება	_ მოსარჩელემ გამოიხიმა სარჩელი და შესაბამისად, სარჩელი დარჩა განუხილველი.
5.	შპს “სტედია ფონოგრაფი“	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p>
6.	ალექსანდრე ჯანდიერი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	<p>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.</p> <p>- ალ. ჯანდიერის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p>

7.	ალექსანდრე ჯღენტე	პლაგიატის აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
8.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-201 მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაევალა მხოლოდ რეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადაცემა მოსარჩელისთვის პერს. მონაცემების მითითების გარეშე (ანუ, დამტრიხული სახით). - იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საიას სარჩელი, საიას-ს მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით
9.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
10.	ალექსანდრე ხოჯავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა. ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე და საზოგადოებრივ მაუწყებელს ალ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება. _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებით, ალ. ხოჯავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მას უარი ეთქვა სამუშაოზე აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა. - სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით.
11.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	_ მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად. _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
12.	ანა ტურაბელიძე	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა. - ამ დრომდე სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივ მაუწყებელს არ აქვს ჩაბარებული
13.	დონარა შონავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე, ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა შესაბამისი კომპენსაციის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

14.	მარიამ ბოლქვაძე	დისციპლინური სანქციის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება,	_ მხარეთა შორის გაფორმდა მორიგების აქტი და ამდენად, საქმის წარმოება დასრულებულია.
15.	შპს "ბროდქასტ სოლუშენ"	დავების განხილვის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების და საზოგადოებრივი მაუწყებლის სატენდერო ოქმის ბათილად ცნობა, ტენდერში გამარჯვებულად აღიარება და შესაბამისი ქმედებების დავალება	_ მოსარჩელემ გამოიხმო სარჩელი, რის შედეგად, სარჩელი დარჩა განუხილველი.
16.	შპს "მკს"	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს - 20 123,24 ლარის დაკისრება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა 3 000 ლარის ოდენობით, რაც გასაჩივრდა მხარეების მიერ აპელაციის წესით. _ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა შპს "მკს"-ის სააპელაციო საჩივარი. ამასთან, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მაუწყებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 1 435,82 ლარის გადახდა. _ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია კასაციის წესით
17.	გიორგი სუხიტაშვილი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
18.	მარიამ სონიშვილი	ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
19.	დადი ბარაბაძე	ზიანის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
20.	ნეგზარ ჩხაიძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა _ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა საზოგადოებრივ მაუწყებელს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო, ნ. ჩხაიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაევალა ნ. ჩხაიძის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

21.	<p>1. ქეთინო დეკანოზიშვილი</p> <p>2. ნათია შენგელია</p>	<p>სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება</p>	<p>_ ნ. შენგელიასთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <p>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენ. დირექტორის ბრძანება ნ. შენგელიასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ნ. შენგელიას სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>3. სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.</p> <p>- გადაწყვეტილება გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული, რაც მხარეთა მიერ გასაჩივრდება კასაციის წესით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მხარეთა საკასაციო საჩივრები დარჩა განუხილველი.</p> <p>საქმის წარმოება დასრულებულია.</p> <p>_ ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:</p> <p>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენ. დირექტორის ბრძანება ქ. დეკანოზიშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;</p> <p>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ქ. დეკანოზიშვილის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.</p> <p>- ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც არ დაკმაყოფილდა მხარეთა სააპელაციო საჩივრები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნა საკასაციო საჩივარი, რომელიც განუხილველად იქნა დატოვებული.</p> <p>შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ განიხილა სარჩელი მხოლოდ სამუშაოზე აღდგენის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, რაც სრულად დაკმაყოფილდა.</p> <p>- გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.</p>
